ინფორმაცია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და არასამთავრობო ორგანიზაცია oikos Tbilisi **2011 წლის 13 მაისს** ატარებს II სტუდენტურ კონფერენციას თემაზე:

"გლობალიზაცია და საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები"

კონფერენციის პროგრამით გათვალისწინებულია მიმართულებები:

- აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარების მიმართულებები;
- საქართველო საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში;
- საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები და საქართველო;
- საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები;
- კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა და უცხოური ინვესტიციები საქართველოში;
- საერთაშორისო ბიზნესის ეკონომიკური გარემო;
- საერთაშორისო ბიზნესის ფინანსური გარემო;
- საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი გარემო;
- საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო;
- საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ეკოლოგიური ასპექტები;
- საერთაშორისო ბიზნესის ინოვაციური ასპექტები.

კონფერენციაში მონაწილეობისათვის მასალების წარმოდგენის წესი და ვადები

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2011 წლის 10 მაისამდე ზემოთ აღნიშნულ თემატიკაზე უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო სტატია **<u>ინგლისურ ან რუსულ</u>** ენაზე და მისი საპრეზენტაციო მასალა Power Point ფორმატით.

მოხსენება წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტურ რედაქტორ Word 97-2003 (შრიფტი 11, Times New Roman, ინტერვალი 1,0). ფორმატი A4, მინდორი: ზედა – 2,5 სმ, ქვედა – 2,5 სმ, მარცხენა – 3,0 სმ, მარჯვენა – 2,0 სმ. გვერდები არ უნდა დაინომროს.

ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა მიეთითოს ავტორის გვარი და სახელი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ. ფოსტა), უნივერსიტეტი, ფაკულტეტი", კურსი, მოდული. მოხსენების სათაური ცენტრში დიდი ასოებით. შემდეგ ტექსტი, რომელშიც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ფორმულების, სურათების და გრაფიკების რაოდენობა. ტექსტში სურათებს და ნახაზებს სათაური უნდა მიეთითოს ქვემოთ, ხოლო ცხრილებს ზემოდან. მოხსენების შემდეგ მიეთითება გამოყენებული წყაროების სია ტექსტში გამოყენების თანმიმდევრობის მიხედვით. ამ ფორმით წარმოდგენილი მასალების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 6 გვერდს.

მოხსენებები (ამობეჭდილი და ელ. ვერსია CD-ზე) წარმოადგინეთ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, თსუ მაღლივი კორპუსი, VII სართული, ოთახი №708 (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური).

კონფერენციის კოორდინატორი ნანა მაისურაძე. ტ.: 899268261

ნაშრომები გაივლის წინასწარ შერჩევას. დაწუნებული ნაშრომი ავტორს არ დაუბრუნდება.

კონფერენციის მონაწილის შეფასების კრიტერიუმები

- ნაშრომის გაფორმება – **10 ქულა**
- საკვლევი პრობლემის აქტუალობა – **10 ქულა**
- კვლევის სიღრმე – **15 ქულა**
- კვლევის შედეგი (სიახლე) – **15 ქულა**
- პრეზენტაციის ხელოვნება (ენის ფლობა, გადმოცემის უნარი, თვალსაჩინოება, რეგლამენტი) – **30 ქულა**
- შეკითხვებზე პასუხი – **20 ქულა**

კონფერენციაში მონაწილეებს გადაეცემათ უნივერსიტეტის და oikos Tbilisi-ის სერტიფიკატები. ჟიურის მიერ შერჩეული 2 საუკეთესო მონაწილე გაემგზავრება საერთაშორისო საზაფხულო ეკონომიკურ სკოლაში უკრაინაში, ქალაქ დონეცკსა და სვიატიგორსკში 2011 წლის 1-7 ივლისს. ღონისძიების ორგანიზატორების მიერ ასევე დაწესებულია სხვადასხვა წამახალისებელი პრიზები.